



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 138/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ანა ლიპარტელიანი (სტუდენტი)

ფაქტები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას წარედგინა თბილისის პროკურატურის საჩივარი ადვოკატის წინააღმდეგ, რომლითაც მოთხოვნილი იყო დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს და პროკურატურის ინსტიტუციების მიმართ უპატივცემულობისთვის. საჩივრის ავტორების პოზიციის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული პროცესის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა პროფესიული ეთიკის ნორმების უგულვებელყოფით მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა პროცესის მონაწილე პროკურორებს, კერძოდ, შეაფურთხა მათ და ბრალდების მხარის მიმართ გამოიყენა შეურაცხმყოფელი სიტყვები სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. ამის საპასუხოდ, ადვოკატმა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას წარუდგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც მიუთითა, რომ პროკურორებისათვის შეურაცხყოფა არა მხოლოდ არ მიუყენებია, არამედ საჩივრის ავტორების მიერ წარდგენილ ვიდეო კადრებიდანაც ცალსახად ჩანს, რომ იგი ადგილზე მყოფ პირებს მოუწოდებდა დაეცვათ წესრიგი და არ განეხორციელებინათ რაიმე ქმედება პროკურატურის მუშაკების მიმართ. ამასთან, აღნიშნა, რომ იგი ხშირად აკრიტიკებდა პროკურატურის ქმედებებს და შესაბამის ორგანოებში წერდა საჩივრებს პროკურორების წინააღმდეგ. ეთიკის კომისიაში აღნიშნული საჩივრის შეტანა კი არის პროკურატურის მხრიდან ერთგვარი პასუხი მის ქმედებებზე და კონკრეტული ბრალდებულის ინტერესების დაცვაზე.

პროცესუალური ისტორია

თბილისის პროკურატურის მიერ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარდგენილ საჩივარს თან ერთვოდა ვიდეო კადრები და მოწმეების ლ.ბ-სა და ა.გ-ს წერილობითი განმარტებები, რომელთა თანახმადაც, ისინი ესწრებიდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2013 წლის 26 ოქტომბერს გამართულ პროცესს, რომლის მსვლელობის დროსაც, ადვოკატმა ბრალდების მხარის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიმართ გამოიყენა შეურაცხმყოფელი სიტყვები, რის შესახებაც მან მოახსენა მოსამართლეს, თუმცა მოსამართლე მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა. მოწმეთა წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, პროცესის დასრულების შემდეგ ბრალდებულის მხარდამჭერები ქმნიდნენ დამაბულ სიტუაციას, რის გამოც, ბრალდების წარმომადგენლები იძულებული გახდნენ დალოდებოდნენ საპატრულო პოლიციას და მათი თანხლებით, ავტომობილით დაეტოვებინათ სასამართლოს ტერიტორია. მოწმეთა განმარტებით, სწორედ ამ დროს, დაახლოებით 15–20 მეტრის გავლის შემდეგ, მათ ავტომანქანის წინ შენიშნეს ადვოკატი, რომელიც მიდიოდა ნელი სვლით. მოწმეთა განმარტებით, ადვოკატმა თავი უკან შეაბრუნა და გადააფურთხა ავტო მანქანის მიმართულებით. მოწმის განმარტებით, მათ სვლა განაგრძეს, რა დროსაც, ჩამოწეული საქარე მინიდან მოულოდნელად შეაფურთხა ადვოკატმა. მოწმეთა განცხადებით, ბრალდების მხარის წარმომადგენლებს სურდათ მანქანიდან გადასვლა, მაგრამ კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, პოლიციის თანამშრომლებმა არ მისცეს ამის საშუალება.

¹ <https://gba.ge/pdf/5c5299e808014.pdf/5c5299e808014.pdf>

ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილვის პროცესში კომისიამ გასაუბრებაზე მოიწვია მოწმეები ზ.შ და ბ.ქ, რომლებიც შეესწრნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში განვითარებულ მოვლენებს. მოწმეთა განცხადებების თანახმად, ადვოკატის მხრიდან პროკურატურის მუშაკების მიმართ შეგინებისა და შეფურთხების ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. მათ თვალთახედვაში კარგად ჩანდა, როგორც თავად ადვოკატი, ისე სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენლების ავტომობილი და ამგვარი მოვლენების განვითარება, არსებობის შემთხვევაში უყურადღებოდ არ დარჩებოდათ.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლისა და აპკ-ის 9.1 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე და მიუთითა, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესაბამება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, განსხვავებით სხვა პირებისაგან, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. კოლეგიამ აღნიშნა, რომ ცალსახა წინააღმდეგობაა საჩივრის ავტორთა და ადვოკატის მოწმეთა განცხადებებს შორის, თუმცა, პროკურატურის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კომპაქტური დისკის ჩანაწერის ერთ-ერთ კადრში, იმ დროს, როცა აღნიშნული ქმედებაა დაფიქსირებული, ადვოკატი მიდის მანქანის წინ, რამდენიმე მეტრის დაშორებით. ამასთან, ვიდეო კადრებიდან (03:51-04:00წთ) ირკვევა, რომ ადვოკატი სასამართლოს ეზოში შეკრებილ საზოგადოებას მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „ამათთან რა გინდათ... ამათთან რა გინდათ?!“ . საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს არათუ ისეთი ქმედება არ განუხორციელებია, რომელიც ეთიკის კომისიამ შეიძლება შეაფასოს და შეურაცხმყოფელად ან მართლზომიერად მიიჩნიოს, არამედ, ვიდეოფირზე არ ჩანს, რომ ადვოკატი, საერთოდ რაიმე ქმედებას ახორციელებს. შესაბამისად, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი კომპაქტური დისკის ჩანაწერით არ დგინდება საჩივრის ავტორის პრეტენზიის საფუძველი. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას შეაფასა, ერთი მხრივ, საჩივრის ავტორის მტკიცებულებები - ქალაქ თბილისის პროკურორის მიმართ დაწერილი მოხსენებითი ბარათები, კომპაქტურ დისკზე არსებული ჩანაწერი, და, მეორე მხრივ, ადვოკატის განმარტება, მისი შუამდგომლობით მოწვეული ორი მოწმის განმარტება. დისციპლინური საქმის შეფასებისას, არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეჯერების შედეგად, ეთიკის კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატის ქმედებაში პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა.

დასკვნა

ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.